



საარჩევნო სიახლენი I

(30 მარტი - 13 აპრილი)

2010 წლის 30 მარტის, საქართველოს პრეზიდენტის # 254 განკარგულებით, ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოს და ქ. თბილისის მერის არჩევნები, საქართველოს კონსტიტუციის 104³ მუხლისა და საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129¹³ მუხლის შესაბამისად, 2010 წლის 30 მაისს დაინიშნა. ასევე, საქართველოს საარჩევნო კოდექსის 129⁹ მუხლის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარული საარჩევნო სისტემით # 7 ჩუღურეთის, # 12 გურჯაანისა და # 60 ოზურგეთის საარჩევნო ოლქებში 2009 წლის 27 სექტემბერს გასამართი შუალედური არჩევნები 30 მაისს დაინიშნა.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებამ გამოხატა მზადყოფნა ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნების დაკვირვებასთან დაკავშირებით და ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების მეშვეობით აქტიურად დაიწყო წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგი. ორგანიზაცია ახორციელებს წინასაარჩევნო, არჩევნების დღისა და არჩევნების შემდგომი პერიოდების მონიტორინგს საქართველოს მასშტაბით.

საარჩევნო კანონმდებლობა

საქართველოს საარჩევნო კოდექსში ცვლილებებზე მუშაობა მიმდინარეობდა მთელი 2009 წლის განმავლობაში. ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის ოფისში, იმართებოდა საარჩევნო კოდექსზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრები, რომლებშიც პოლიტიკურ პარტიებთან ერთად მონაწილეობას სადამკვირვებლო ორგანიზაციების იღებდნენ. 2009 წლის დეკემბრის ბოლოს, საარჩევნო კოდექსში ცვლილებები შევიდა საპარლამენტო უმრავლესობის მიერ წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად. გამოვყოფთ საკანონმდებლო ცვლილების 2010 წლის 30 მაისის არჩევნებთან დაკავშირებულ ზოგიერთ მნიშვნელოვან საკითხს:

- დედაქალაქის მერი პირდაპირი წესით აირჩევა 30% იანი ბარიერით;
- დედაქალაქის საკრებულოს წევრთა გაზრდა 25 ერთმანდატიანი მაჟორიტარული ნულოვანი ბარიერით და 25 პროპორციული მანდატი 4%-იანი ბარიერით;
- ქალაქ თბილისის 10 საარჩევნო ოლქის ქვე-დაყოფა 25 მაჟორიტარულ ოლქად;
- ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესი;
- ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა დანიშნვა საარჩევნო უბნების მდივნებად.

საარჩევნო სუბიექტებისა და დამკვირვებელთა რეგისტრაცია

პოლიტიკური სუბიექტების რეგისტრაცია

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით¹ არჩევნებამდე არაუგვიანეს 57-ე დღისა ადგილობრივი წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და საქართველოს პარლამენტის შუალედურ არჩევნებში მონაწილეობის მიღების მიზნით პარტიამ/საარჩევნო ბლოკმა უნდა მიმართოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას რეგისტრაციისთვის. ცენტრალურ საარჩევნო კომისიას 2010 წლის არჩევნებში მონაწილეობის მიზნით სულ 36-მა პოლიტიკურმა პარტიამ მიმართა განცხადებით,

¹ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 117, პუნქტი 1

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

რომელთაგან 26 პარტია დარეგისტრირდა², ხოლო 10 პოლიტიკურ პარტიას³ უარი ეთქვა დარეგისტრირებაზე, რადგან მათ მიერ წარდგენილი მხარდამჭერთა სიები არ აკმაყოფილებდა კანონის მოთხოვნებს.

დამკვირვებელ ორგანიზაციათა რეგისტრაცია

2010 წლის 30 მაისის არჩევნებზე დაკვირვების მიზნით, ცენტრალურ საარჩევნო კომისიაში ამ ეტაპისათვის დარეგისტრირდა მხოლოდ ორი ადგილობრივი სადამკვირვებლო ორგანიზაცია: „ახალი თაობა - ახალი ინიციატივა“ და „სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება“.

ცესკო-მ რეგისტრაციაში არ გაატარა საერთაშორისო ორგანიზაცია: ”შეერთებული შტატებისა და კავკასიის ასოციაცია დემოკრატიისა და მშვიდობისთვის” იმ მიზეზით, რომ აღნიშნული ორგანიზაციის მიერ წარდგენილი დოკუმენტაცია არ აკმაყოფილებდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ ნორმებს, საერთაშორისო ორგანიზაციის, არჩევნებზე დამკვირვებლად რეგისტრაციისთვის. საერთაშორისო ორგანიზაციას განემარტა კანონის მოთხოვნები. იმ შემთხვევაში თუ ორგანიზაცია კანონით დადგენილ ვადაში წრმოადგენს შესაბამის დოკუმენტაციას, დარეგისტრირდება დამკვირვებლად 30 მაისის არჩევნებისთვის.

ადგილობრივი თვითმმართველობისა და საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნებისთვის სადამკვირვებლო ორგანიზაციებს აქვთ დრო დარეგისტრირებისათვის, ადგილობრივ ორგანიზაციას არჩევნებამდე არაუგვიანეს მე-10, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციას არაუგვიანეს მე-7 დღისა.

საარჩევნო ადმინისტრაცია

ცენტრალური საარჩევნო კომისიის მონიტორინგი

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით არჩევნების დანიშვნის დღიდან ცენტრალური საარჩევნო კომისია აცხადებს კონკურსს საოლქო საარჩევნო კომისიების დროებითი წევრების არჩევის მიზნით⁴. მონიტორინგის შედეგების მიხედვით კომისიის წევრების კონკურსით იქნა გამოცხადებული დროულად და 2 აპრილის სხდომაზე ცესკო-მ აირჩია საოლქო კომისიის დროებითი წევრები.

არჩევნების დანიშვნიდან 2 დღის შემდეგ ცესკოს უნდა გამოექვეყნებინა ინფორმაცია საარჩევნო ოლქებისა და მათი საზღვრების შესახებ პრესითა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებით. ეს ინფორმაცია ცესკო-მ გამოაქვეყნა ვებ-გვერდზე და გაზეთ „24 საათში“.

ამ ეტაპზე ცესკო-ში მიმდინარეობს საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის მიხედვით გაწერილი საქმიანობების განხორციელება.

საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების მონიტორინგი

„სამართლიანი არჩევნების“ 75 გრძელვადიანი კოორდინატორები ახორციელებდნენ წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს საქართველოს საოლქო საარჩევნო კომისიებში და აკვირდებოდნენ კანონით გათვალისწინებული პროცედურების შესრულების პროცესებს.

² დანართი 1

³ დანართი 2

⁴ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 32, პუნქტი 3

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

საქართველოს საარჩევნო კოდექსის მიხედვით⁵ 2 აპრილს, არჩევნების გამოცხადებიდან 3 დღის ვადაში საოლქო საარჩევნო კომისიები პრესითა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით აქვეყნებენ ცნობას ადგილობრივი მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ, მათი საზღვრების მითითებით. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლების ინფორმაციით ყველა საოლქო საარჩევნო კომისიამ გამოაქვეყნა მაჟორიტარული საარჩევნო ოლქების შესახებ ინფორმაცია მათი საზღვრების მითითებით, თუმცა, ძირითადად ინფორმაცია მითითებული იყო ოლქის საჯარო სტენდზე და არა მედიის საშუალებებით.

კანონით დადგენილ ვადაში, არჩევნებამდე არაუგვიანეს 56-ე დღისა⁶ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებმა გამოაქვეყნა ყველა იმ შენობა-ნაგებობათა ჩამონათვალი, სადაც აკრძალულია საარჩევნო პლაკატების გაკვრა. გამონაკლისი იყო # 79 ბათუმის საარჩევნო ოლქი, სადაც 10 აპრილს შენობა-ჩამონათვალის სიაში შეტანილი ცვლილებების გამო, დროულად არ გამოქვეყნდა აღნიშნული ინფორმაცია.

კანონის მიხედვით საუბნო საარჩევნო კომისიის წევრების შესარჩევი კონკურსი გამოცხადდა 3 აპრილს, არჩევნების გამოცხადებიდან 5 დღის ვადაში⁷, რომელიც გაგრძელდა 10 აპრილამდე. კანდიდატთა რეგისტრაცია ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში დასრულდა 10 აპრილს.

საარჩევნო ადმინისტრაციის ქვედა დონეების დაკომპლექტებას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არჩევნების სწორად და კანონის ფარგლებში ადმინისტრირების კუთხით. სწორედ ამიტომ, საარჩევნო ადმინისტრაციის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების გაზრდის მიზნით „სამართლიანმა არჩევნებმა“ პარტნიორ ორგანიზაციასთან საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციასთან ერთად ცენტრალურ საარჩევნო კომისიას წარუდგინა საუბნო საარჩევნო კომისიათა მოხელეები, რომელთა არაკომპეტენტური მუშაობის გამო გაუქმდა ან/და სერიოზული სახის საჩივრები იქნა შეტანილი უბნებზე 2008 წლის არჩევნების (რიგგარეშე საპრეზიდენტო, საპარლამენტო და აჭარის უმაღლესი საბჭოს) დროს. სადამკვირვებლო არჩევნების მიერ წარდგენილი მოხელეების სია ორი ტიპისაა, ერთი შეიცავს იმ მოხელეთა მონაცემებს, რომლებსაც საერთოდ აკრძალათ მომავალში საარჩევნო ადმინისტრაციაში მუშაობა, ხოლო მეორე - რომელთაც დაეკისრათ სხვადასხვა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობები. „სამართლიანმა არჩევნებმა“ და „საიამ“ რეკომენდაციის სახით მოუწოდა ცენტრალურ საარჩევნო კომისიას ზემოთ აღნიშნული სია გაეგრძელებინა საოლქო საარჩევნო კომისიებთან, რათა უბნების დაკომპლექტებისას მათ გაეთვალისწინებინათ და კონკრეტული პირები აღარ დაენიშნათ ადმინისტრაციის ქვედა დონეზე.

მონიტორინგის განხორციელების პერიოდში, 10-14 აპრილის განმავლობაში საოლქო საარჩევნო კომისიებმა დააკომპლექტეს საუბნო საარჩევნო კომისიები (კომისიის უპარტიო წევრები). ორგანიზაციის დამკვირვებელთა ინფორმაციით სადამკვირვებლო ორგანიზაციების მიერ ცესკოსთვის წარდგენილი სია არ მიუღია შემდეგ საარჩევნო ოლქებს: გორი, ქარელი, ახალციხე, ქუთაისი, თერჯოლა, საჩხერე, ბაღდათი, ვანი, ხონი, ჭიათურა, ტყიბული, წყალტუბო, ამბროლაური, ცაგერი, სენაკი, ხობი, ჩხოროწყუ, ბათუმი, შუახევი, ხელვაჩაური, ქობულეთი, ჩოხატაური, ლანჩხუთი, გურჯაანი, დედოფლისწყარო, ყვარელი, ახმეტა და სხვა. მონიტორინგის შედეგებს უბნების უპარტიო წევრების დაკომპლექტებასთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნები“ წარმოვიდგინეთ „საარჩევნო სიახლეების“ შემდეგ გამოშვებაში.

⁵ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 112, პუნქტი 4

⁶ საქართველოს საარჩევნო კოდექსი, მუხლი 75, პუნქტი 4

⁷ ცესკო-ს განკარგულება # 76/2010

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

საანგარიშო კვირის განმავლობაში ყველა საოლქო საარჩევნო კომისიაში ჩატარდა სხდომა. სხდომები იყო ღია და მათზე დასწრება შეეძლო ყველა დაინტერესებულ პირს. ძირითადად, სხდომები ეხებოდა საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადებას, დამხმარე და ტექნიკური პერსონალის რაოდენობის დამტკიცებას, საარჩევნო უბნების საზღვრებისა და მისამართების დაზუსტებას, ადმინისტრაციულ და სამართალ დამრღვევთა აქტის შემდგენი პირადი პასუხისმგებელი პირის დანიშვნის თაობაზე განხილვებს და საარჩევნო ღონისძიებათა გრაფიკის მიხედვით გაწერილ სხვა საქმიანობებს. მაგალითად, **# 54 სამტრედიის** საარჩევნო ოლქში, რაიონულ ცენტრში ადრე არსებულ 8 საარჩევნო უბანს, ამომრჩეველთა რაოდენობის ზრდის გამო, დაემატა 1 საარჩევნო უბანი. იმავე ოლქის, **#28** და **#29** უბნებს გამოეყო სოფლები სადაც გაიხსნება დამატებით ერთი საარჩევნო უბანი.

ძირითადად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში უმეტეს ოლქში ჩატარდა 1 სხდომა, ხოლო ზოგან - 2/3. საერთო ჯამში, ოლქებში ჩატარებულ სხდომებს ესწრებოდა წევრთა ის რაოდენობა, რომელიც საკმარისი იყო ქვორუმის შესაქმნელად გადაწყვეტილების მიღებისას. ქვორუმის არარსებობა არსად დაფიქსირებულა.

მთლიანობაში აღინიშნა, რომ საოლქო საარჩევნო კომისიის წევრები მათთვის დაკისრებულ საქმიანობას ახორციელებენ და ხშირად სამუშაო საათების დასრულების შემდეგაც მუშაობენ. თუმცა, გამოიკვეთა ის ოლქები, სადაც საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ წარდგენილი წევრები, მუშაობენ ხოლო პოლიტიკური პარტიების მიერ დანიშნული ოლქის წევრები არ გამოცხადებულან სამსახურეობრივი მოვალეობების შესასრულებლად. ასეთი ოლქებია: **# 15 ლაგოდეხის**, **# 82 შუახევის**, **# 83 ხელვაჩაურის**, **# 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქები.

საარჩევნო კამპანია

მონიტორინგი განხორციელების პერიოდში პოლიტიკურმა პარტიებმა დაიწყეს წინასაარჩევნო კამპანიის წარმოება საქართველოს სხვადასხვა საარჩევნო ოლქებში. ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა - **# 13 სიღნაღის**, **# 52 ბაღდათის**, **# 36 ბორჯომის**, **# 4 კრწანისის**, **# 10 გლდანის**, **# 6 სამგორის**, **# 60 ოზურგეთის**, **# 57 ტყიბულის** საარჩევნო ოლქებში. გარდა შეხვედრებისა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა **# 60 ოზურგეთის** საარჩევნო ოლქში პარტიულ რიგებში აქტიურად აწვევრიანებდა 35 წლამდე ასაკის მსურველთ, რომელთა ასევე აქტიური ჩართვა მოხდა სხვადასხვა საქმიანობებში.

ქრისტიან-დემოკრატიულ პარტიას მოსახლეობასთან შეხვედრები და კონსულტაციები ჰქონდა **# 23 ბოლნისის**, **# 22 მარნეულის**, **# 62 ჩოხატაურის**, **# 60 ოზურგეთის**, **# 45 ცაგერის**, **# 63 აბაშისა** და **# 15 ლაგოდეხის** საარჩევნო ოლქებში.

23 ბოლნისის საარჩევნო ოლქის მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა პარტიამ „ალიანსი საქართველოსთვის“.

6 სამგორის საარჩევნო ოლქში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა პოლიტიკურმა პარტიამ „ჩვენი საქართველო-თავისუფალი დემოკრატები“.

„ეროვნული ფორუმის“ შეხვედრა ამომრჩეველებთან გაიმართა **# 13 სიღნაღის** ოლქში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

„ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლები მოსახლეობას შეხვდნენ **# 79 ბათუმისა** და **# 82 შუახევის** საარჩევნო ოლქში. ორგანიზაციის გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქში 6 აპრილს ზურაბ ნოღაიდელის მომხრეებსა და მოქალაქეებს შორის მოხდა დაპირისპირება. შეხვედრის დაწყებამდე აღნიშნული მოქალაქეები შეიკრიბნენ თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე და სიტყვიერი შეურაცხოვა მიაყენეს „ეროვნული საბჭოს“ წარმომადგენლებს.

66 ხობის საარჩევნო ოლქში მოსახლეობასთან შეხვედრა გამართა „მოდრაობა სამართლიანი საქართველოს“ წარმომადგენლებმა.

18 ახმეტის საარჩევნო ოლქში მოსახლეობასთან შეხვედრები გამართა რესპუბლიკური პარტიის კანდიდატმა.

ამომრჩეველებთან შეხვედრებთან დაკავშირებით „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიან დამკვირვებელს ინფორმაცია მიაწოდა ”ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატიების“ აღმასრულებელმა მდივანმა მიხეილ ვარშანიძემ. მისი განცხადებით **# 6 სამგორის** საარჩევნო ოლქში, ირაკლი ალასანიასთან მოსახლეობის შეხვედრის დროს, ადგილი ჰქონდა შეხვედრის ჩაშლის მცდელობას ნაციონალურ მოძრაობის კოორდინატორების მიერ.

ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების ფაქტები

მონიტორინგის პერიოდის განმავლობაში დაიწერა ერთი საჩივარი. კერძოდ, **# 61 ლანჩხუთის** საარჩევნო ოლქში 6 აპრილს საჩივარი შეიტანა რესპუბლიკურმა პარტიამ, რომელიც შეეხებოდა საარჩევნო კოდექსის 76 მუხლის „ა“ პუნქტის დადევას. კერძოდ, ადმინისტრაციულ შენობაში, სოფლის მეურნეობის სამმართველოში, არჩევნების დანიშვნამდე, გამგეობის მიერ დროებით იყო გამოყოფილი ფართი ნაციონალური მოძრაობის ოფისისთვის. საოლქო საარჩევნო კომისიამ მოიკვლია ეს ფაქტი, წერილით მიმართა ნაციონალური მოძრაობის შტაბის ხელმძღვანელს ლანჩხუთში და სთხოვა ფართის გათავისუფლება. შესაბამისად, დაკმაყოფილდა რესპუბლიკური პარტიის მიერ წარდგენილი საჩივარი.

აღსანიშნავია **# 79 ბათუმის** საარჩევნო ოლქში მედიის თავისუფალი გამოყენების საკითხი. აჭარის ტელევიზია, რომელიც მკაცრად ზღუდავს ყოველგვარი დებატების გაშვებას პირდაპირი ეთერით. „სამართლიანი არჩევნების“ გრძელვადიანი დამკვირვებლის ინფორმაციით, არა მხოლოდ პოლიტიკურ პარტიებს ეზღუდებათ ტელევიზიაში თოქ-შოუს მოწყობა, არამედ, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსაც. მაგალითად, როდესაც „სამართლიანი არჩევნების“ აჭარა-გურიის კოორდინატორმა თხოვნით მიმართა აჭარის ტელევიზიას, ამომრჩეველთა ინფორმირების მიზნით ტელევიზიაში სპეციალური თოქ-შოუს მოწყობა, უამრავი მიზეზის მოშველიებისა და დროის გაწელვის შემდეგ, ტელევიზიამ უარი განაცხადა თანამშრომლობაზე.

ამომრჩეველთა სიები

ამომრჩეველთა სიების მონიტორინგი „სამართლიანი არჩევნების“ სადამკვირვებლო მისიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კომპონენტია. ორგანიზაციამ 2010 წლის 9 მარტს ოფიციალური წერილით მიმართა საქართველოს ცენტრალურ საარჩევნო კომისიას და გამოითხოვა ამომრჩეველთა ერთიანი სია 8 მარტის მდგომარეობით. ორგანიზაციამ ცესკო-ს მიერ მოწოდებულ ამომრჩეველთა სიის ელექტრონულ ვერსიაზე განახორციელა ლოგიკური შემოწმება, რომლის შედეგადაც აღმოაჩინა

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



ჩანაწერები ამომრჩეველთა მისამართის გარეშე	8883
დაბადების თარიღის გარეშე	21
ჩანაწერები სადაც ამომრჩეველთა რეგისტრაციის ნომრები არარის	341
ჩანაწერები, სადაც ამომრჩეველის სახელი ნაკლებია 3 სიმბოლოზე (სახელის „ია“-ს გარდა)	3
ჩანაწერები, სადაც ამომრჩეველის გვარი ნაკლებია 3 სიმბოლოზე	9
ჩანაწერები, სადაც ამომრჩეველის გვარი ნაკლებია 4 სიმბოლოზე	262
ჩანაწერები, სადაც ამომრჩეველის გვარი ნაკლებია 5 სიმბოლოზე	2864
ჩანაწერები, სადაც ამომრჩეველის ასაკი ნაკლებია 18 წელზე, ანუ არასრულწლოვანი ამომრჩეველები	164
დუბლიკატები, ანუ ერთი და იგივე ამომრჩეველის გამეორებები სიაში	80

ამომრჩეველთა სიების დახვეწისა და სიების მიმართ ნდობის გაზრდის თვალსაზრისით 2010 წლის თებერვალ-მარტში, საქართველოში რეგისტრირებულმა 11 პოლიტიკურმა პარტიამ განახორციელა სიების მონიტორინგი. ამისათვის პოლიტიკურ პარტიებს გადაეცათ 120 000 ლარი. პოლიტიკურმა პარტიებმა სიების მონიტორინგი დაიწყეს 5 თებერვალს, რომელიც გაგრძელდა 2010 წლის 10 აპრილამდე. პოლიტიკურმა პარტიებმა - „ქრისტიან-დემოკრატიული“ მოძრაობა, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ალიანსი საქართველოსათვის, „საქართველოს რესპუბლიკური პარტია“, „ახალი მემარჯვენეები“, „მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს“ „მოძრაობა სამართლიანი საქართველოსთვის“, „ქართული დასი“, „ჩვენ თვითონ“, „თავისუფლება“, საქართველოს კონსერვატიული პარტია, „საქართველოს გზა“, „ხალხის პარტია“, პოლიტიკური ორგანიზაცია „მამული“, „ხალხთან მეგობრობის პარტია“ და პოლიტიკური გაერთიანება „მამულიშვილთა ორდენი „სამშობლო“ - 10 აპრილს წარმოადგინეს სიების მონიტორინგის შედეგები. მონიტორინგის შედეგად გამოვლენილი ძირითადი მიგნებები იყო: განსხვავებები რეგისტრაციისა და ფაქტობრივ მისამართებს შორის, საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩეველები, დამისმართების პრობლემები, გარდაცვლილები, უზუსტობები სახელებსა და გვარებს შორის. 2010 წლის 12 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ წარმოადგინა პარტიების მიერ წარდგენილი სიების მონიტორინგის შედეგების პრეზენტაცია, სადაც აღინიშნა, რომ მონიტორინგის მიერ გამოვლენილ მონაცემებზე დაყრდნობით, გაკეთა 80 000-მდე ჩასწორება ამომრჩეველთა ერთიან სიაში. მონიტორინგის შედეგებდათ ერთად 10 აპრილს ფინანსური ანგარიში წარმოადგინეს პოლიტიკურმა პარტიებმა: „ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობა“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

2010 წლის 12 აპრილს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ სადამკვირვებლო ორგანიზაციებს მიაწოდა პოლიტიკური პარტიების მიერ მიწოდებული სიის ნაწილი, სადაც შემდეგი უზუსტობები დაფიქსირდა: მისამართები, რომლებზედაც რეგისტრირებულია ისეთი ამომრჩეველები, რომლებიც რეალურად ამ მისამართზე არ ცხოვრობენ. პოლიტიკური პარტიების მიერ წარდგენი შედეგების

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი, ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



სამართლიანი არჩევნები

მიხედვით, აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებული ბინის ნამდვილი მეპატრონეები ამ პიროვნებების ბინიდან ამოწერას ითხოვენ და ამასთან დაკავშირებით შეიტანეს განცხადება სამოქალაქო რეესტრში. მონიტორინგის მიზნით 2010 წლის 13 აპრილს, „სამართლიანი არჩევნებისა“ და „საიას“ წარმომადგენლებმა, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს წარმომადგენლებთან ერთად კარდაკარის პრინციპით, გადაამოწმეს აღნიშნული სიის რამოდენიმე მისამართი. კერძოდ:

1. # 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქი – გიორგი ბრწყინვალის 37, ბ. #3
2. # 9 ნაძალადევის საარჩევნო ოლქი – ცოტნე დადიანის 34-1 კორპ. ბ. #1
3. # 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქი – ვაჟა ფშაველას II კვ. 24 კორპ. ბ. # 1
4. # 3 საბურთალოს საარჩევნო ოლქი – შ. ნუცუბიძის I მ/რ, 5 კორპ. ბ. # 10
5. # 6 სამგორის საარჩევნო ოლქი – ჯავახეთის 3 ა კორპ. ბ. # 2

პირველ ორ მისამართზე სახლში არავინ იყო, შესაბამისად მონიტორინგი ვერ განხორციელდა. რაც შეეხება დანარჩენ სამ მისამართს, გამოიკვეთა შემდეგი გარემოებები:

ა) ვაჟა ფშაველას II კვ. 24 კორპ. ბ. # 1 - ბინის მესაკუთრის დავით ფელოიანის განცხადებით, იგი არ იცნობს იმ პიროვნებას, რომელიც რეგისტრირებულია მის მისამართზე. ამასთან, მისივე აღნიშვნით, მას არ დაუწერია არავითარი განცხადება აღნიშნული პირის რეგისტრაციიდან მოხსნაზე და სამოქალაქო რეესტრში არსებული განცხადება მისი დაწერილი არ არის. მან აღნიშნა, რომ ბინა მხოლოდ მის საკუთრებაში არ არის, ბინის მესაკუთრე არის ასევე მისი ძმა, შესაბამისად კანონის მიხედვით მხოლოდ საკუთარი სახელით ის ვერ შეიტანდა განცხადებას;

ბ) შ. ნუცუბიძის I მ/რ, 5 კორპ. ბ. # 10 - მცხოვრებმა მანანა ჭიჭინაძის განცხადებით, სამოქალაქო რეესტრში შეტანილი განცხადება, მის ბინაში ჩაწერილი უცხო ადამიანების რეგისტრაციიდან მოხსნასთან დაკავშირებით, მისი დაწერილი არ არის. მისი განცხადებით სამოქალაქო რეესტრში შეტანილ განცხადებას სხვა გვარის ხელმოწერა აქვს (ჭიჭინაშვილი, ნაცვლად ჭიჭინაძისა) და გარდა ამისა, ბინა რეგისტრირებულია მისი მეუღლის სახელზე;

გ) ჯავახეთის 3 ა კორპ. ბ. # 2 - აღნიშნულ მისამართზე რეგისტრირებულია 50 პიროვნება, ხოლო ბინის მესაკუთრე ცხოვრობს საზღვარგარეთ. კანონმდებლობის მიხედვით, ბინიდან რეგისტრაციის მოხსნასთან დაკავშირებით აუცილებელია ბინის მესაკუთრის განცხადება, შესაბამისად მესაკუთრის არყოფნის გამო, ვერ ხერხდება ამ პიროვნებათა რეგისტრაციის გაუქმება.

სიებში არსებულ ხარვეზებთან დაკავშირებით ორგანიზაციის დამკვირვებელს ინფორმაცია მიაწოდა # **15 ლაგოდების** საარჩევნო ოლქში პარტია „ალიანსი საქართველოსათვის“ ოფისმა. პარტიის წარმომადგენლის განცხადებით ცესკოს მიერ კარ-და-კარ გადამოწმებისათვის გადაცემული ამომრჩეველთა სიაში იყო უზუსტობები. კერძოდ: სიები არ იყო დალაგებული მისამართების ან/და ანბანური პრინციპით; სიაში აღმოჩენილი იყო ბევრი გარდაცვლილი. როგორც აღვნიშნეთ ეს არის პარტია „ალიანსი საქართველოსთვის“ მიერ მოწოდებული ინფორმაცია, „სამართლიანი არჩევნები“ გადაამოწმებს აღნიშნულ ინფორმაციას და დეტალურად სიებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით წარმოგიდგინებ „საარჩევნო სიახლეების“ შემდეგ გამოშვებებში.

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება განაგრძობს წინასაარჩევნო პერიოდის მონიტორინგს, რომლის შედეგებს პერიოდულად გააცნობს საზოგადოებას.

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



ცესკოში რეგისტრირებული პარტიები

1 საქართველოს დემოკრატიული პარტია
2 პოლიტიკური პარტია “მომავალი საქართველო”
3 ეროვნულ-დემოკრატიული პარტია (ედპ)
4 პოლიტიკური მოძრაობა “სოლიდარობა”
5 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ჩვენი საქართველო – თავისუფალი დემოკრატები”
6 საქართველოს რესპუბლიკური პარტია
7 პოლიტიკური გაერთიანება “ახალი მემარჯვენეები” (ახლები)
8 პოლიტიკური გაერთიანება “სახალხო დემოკრატები”
9 პოლიტიკური პარტია “ჩვენი ქვეყანა”
10 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ქრისტეან დემოკრატიული მოძრაობა”
11 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ქრისტეან დემოკრატიული სახალხო პარტია”
12 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “ქართული დასი”
13 მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება “სრულიად საქართველოს სახალხო ალიანსი” (სსსა)
14 პოლიტიკური გაერთიანება “ჩვენ თვითონ”
15 მოძრაობა “სამართლიანი საქართველოსთვის”
16 სრულიად საქართველოს რადიკალ-დემოკრატთა ნაციონალური პარტია
17 საქართველოს კონსერვატიული პარტია
18 პოლიტიკური მოძრაობა “თავისუფლება”
19 საქართველოს გზა
20 ხალხის პარტია
21 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
22 პ/გ “მომავლის პარტია”
23 პოლიტიკური მოძრაობა “მამულიშვილი”
24 პ/გ საქართველოს სპორტსმენტა კავშირი
25 პოლიტიკური მოძრაობა “მრეწველობა გადაარჩენს საქართველოს”
26 პ/გ “მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის”

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge



პარტიები რომელთაც უარი ეთქვათ დარეგისტრირებაზე

1. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს მშრომელთა საბჭო";
2. პარტია "ნიეტრალური საქართველო";
3. მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "საქართველოს მშრომელთა უფლებების დაცვის პარტია";
4. საქართველოს კონსერვატიული (მონარქისტული) პარტია;
5. პ/გ "საქართველოს ადვოკატები";
6. სახალხო პარტია.
7. მერაბ კოსტავას საზოგადოება
8. პ/გ "მამულიშვილთა ორდენი "სამშობლო""
9. პოლიტიკური ორგანიზაცია "მამული"
10. საქართველოს მწვანეთა პარტია

სამართლიანი არჩევნებისა და
დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება

მისამართი: 0160 თბილისი,
ვაჟა ფშაველას გამზ. 7

ტელ: (995 32) 98 39 98
ფაქსი: (995 32) 37 22 13

ელ-ფოსტა: info@isfed.ge
ვებ-გვერდი: www.isfed.ge